ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 31 10 2016 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 7.

ქ. თბილისი

შუალედური გამოცდების აღდგენის ადმინისტრირების შესახებ

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომის 2016 წლის 20 ივნისის N12 ოქმის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სტუდენტისთვის, რომელიც არ გამოცხადდა შუალედურ გამოცდაზე, გამოცდის აღდგენის თარიღად განისაზღვროს 2016 წლის 26 - 27 ნოემბერი.
2. სტუდენტს, რომელმაც ვერ გადალახა შუალედური გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (12 ქულა), შუალედური გამოცდის აღდგენის თარიღად განესაზღვროს 2016 წლის 3 - 4 დეკემბერი.
3. სტუდენტი ვალდებულია შუალედური გამოცდის აღდგენაზე გასვლის წინ წარმოადგინოს გამოცდის აღდგენის საფასურის (25 ლარი) გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.
4. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს, საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის (ფაკულტეტის), ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის სკოლას (ფაკულტეტის), სოციალურ მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტის), ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტის) დეკანატებს, ენების ცენტრს და მთავარ ბუღალტერს (ქალბატონი ნაზიკო სხულუხია).
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ.: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **სერგო ვარდოსანიძე**